5.2.მიმწოდებელმა შემსყიდველს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.
5.3.მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისაგან გაწეული მომსახურების ღირებულების დროული ანაზღაურება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.4.ხელშეკრულების პირობებში არავითარი გადახრა ან ცვლილება არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარეშე.

## 6. ხელშეკრულების შეწყვეტა

6.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები
ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში
6.2.შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## 7. სადაო საკითხების გადაწყვეტა

7.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების გარშემო შექმნილი ყველა უთანხმოება და დავა.
7.2 თუ მხარეები 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს

## 8. სხვა პირობები

8.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
8.2. წინამდებარე ხელშეკრულების მენისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
8.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

შემსყიდველი:

აიპ "სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის დირექტორი: /ბ. ოდიშარია/

მის: სენაკი ახალგაზრდობის ხეივანი № 7
"ლიბერთი ბანკი" სენაკის ფილიალი
ბ/კ 220101450 ს.კ 439860465
ანგარიშის №GE75LBO115155431019000

მიმწოდებელი:

ინდ/მეწარმე "სოსო ახალაია"

ს. ახალაია

მის: სენაკი. ჭავჭავაძის ქ №178
საქართველოს ბანკის სენაკის ფილიალი
ბ/კ 220101520 ს/კ 39001037702
ანგ №. GE52BG0000000617459000

*დანართი №1*

| № | სახეობა | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | სულ ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| | ცოცხი (მინდვრის) | ცალი | 960 | 1.50 | 1440 |
| | ფოცხი | ცალი | 10 | 7 | 70 |
| | ბარი | ცალი | 10 | 5 | 35 |
| | თოხი | ცალი | 10 | 10 | 100 |
| | ლაფათქი დიდი | ცალი | 12 | 13 | 156 |
| | რკინის ჩოთქი | ცალი | 5 | 5 | 25 |
| | ნაჯახი | ცალი | 2 | 25 | 50 |
| | სეკატორი პატარა | ცალი | 1 | 10 | 10 |
| | ცელი | ცალი | 4 | 20 | 80 |
| | წერაქვი | ცალი | 2 | 12 | 24 |
| | ტარი | ცალი | 30 | 3 | 90 |
| | ოთხის ცოცხი | ცალი | 48 | 5 | 240 |
| | თოკი | მეტრი | 50 | 1 | 50 |
| | ლაფათქა პატარა | ცალი | 12 | 5 | 60 |
| | ხელთათმანი | ცალი | 1200 | 1 | 1200 |
| | კირი | კილოგრამი | 200 | 1 | 200 |
| | ყუთის ჭანჭიკი | ცალი | 425 | 0.40 | 170 |
| | | | | | |
| | ჯამი: | | | | 4000 |

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

აიპ "სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის დირექტორი: /ბ. ოდიშარია/

ინდ/მეწარმე "სოსო ახალაია"

ს. ახალაია

ხელშეკრულება №13

ქ. სენაკი „-3' "-თებერვალი----" 2014 წ.

იდება ერთის მხრივ, აიპ "სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის" დირექტორის ბესიკი ოდიშარიას სახით შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე "სოსო ახალიას" სახით შემდგომში, "მიმწოდებელი" შორის მასზედ, რომ მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს სამშენებლო მასალები, ხელთათმანები, ცოცხები და სხვადასხვა სამუშაო იარაღები (CPV – 18100000, 39200000, 44500000, 44900000)

დანართი №1-ის შესაბამისად

## 1. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად

1.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო საქონელი

1.3. საქონლის მიწოდების ვადებია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

## 2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: 4000(ოთხიათასი) ლარს.

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1.შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით

3.2.მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## 4. ანგარიშსწორება

4.1.მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4.2.ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდების და აღნიშნულის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3.მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია

4.4.ანგარიშწორების ადგილია ქ. სენაკი.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობა

5.1.შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად და დროულად გაწევა